გადაწყვეტილება

N გ-25-6/313
12/06/2025

313-გ-25-1-4-202506121637

**ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად შპს „სტერეო +“-ის
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B
ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე**

განმცხადებელი: შპს „სტერეო+“;

კომისიის სხდომის თარიღი: 2025 წლის 12 ივნისი;

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „სტერეო+“-მა (კომისიაში რეგისტრაციის №შ-25-6/1906, 05.05.2025) და მოითხოვა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება.

2. კომისია აღნიშნავს, რომ შპს „სტერეო+“ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიას კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 17 ივნისიდან - 2025 წლის 17 ივნისამდე;
ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო
გ) ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, შესაბამისი სიხშირული რესურსი და ტექნიკური პარამეტრები:

№	ადგილობრივი მაუწყებლობის ზონა	ძირითადი გადამცემის განთავსების პუნქტი	ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის პარამეტრები	ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის მომენტიდან ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი

				ჩრდილოეთ განედი (N)	აღმოსავლეთ გრძედი (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	გასხივების მიმართულება (მიმართული/არამიმართული) (D/ND)	პოლარიზაცია H/V	საჭელვევზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	ზონა 11	ჯვარი	0,3	42°43'30.75"	42° 3'24.10"	25	ND	H	30	546	8
2	ზონა 11	წალენჯიხა	0,8	42°36'59.89"	42° 3'45.01"	20	ND	H	30	546	8
3	ზონა 11	ზუგდიდი	2,3	42°30'7.89"	41°53'8.84"	60	ND	H	30	546	8
4	ზონა 14	ბათუმი	5	41°41'37.58"	41°42'54.98"	46	D	H	27	522	8
5	ზონა 13	ოზურგეთი	0,3	41°54'48.87"	41°59'34.00"	25	ND	H	27	522	8
6	ზონა 11	ფოთი	2,6	42°11'15.73"	41°42'3.62"	120	ND	H	27	522	8
7	ზონა 14	ქედა	0,5	41°37'5.98"	41°55'59.05"	25	ND	H	27	522	8
8	ზონა 9	ამბროლაური	0,3	42°30'49.70"	43° 9'52.28"	20	ND	H	21	474	8
9	ზონა 10	ცაგერი	0,5	42°38'57.71"	42°45'25.56"	30	ND	H	21	474	8
10	ზონა 8	ჭიათურა	0,6	42°17'15.57"	43°15'40.46"	70	ND	H	21	474	8
11	ზონა 11	ჩხოროწყუ	0,3	42°31'46.63"	42° 6'11.88"	35	ND	H	21	474	8
12	ზონა 13	ჩოხატაური	0,3	41°59'38.25"	42°13'49.53"	30	ND	H	21	474	8
13	ზონა 8	ქუთაისი	5	42°16'48.21"	42°44'11.73"	100	ND	H	21	474	8
14	ზონა 10	ლენტეხი	0,8	42°46'28.45"	42°45'40.57"	12	ND	H	21	474	8
15	ზონა 12	მესტია	0,4	43°1 ′21.84"	42°45 ′21.40"	18	ND	H	21	474	8
16	ზონა 9	ონი	0,3	42°34'38.22"	43°26'27.31"	25	ND	H	21	474	8
17	ზონა 8	საჩხერე	0,6	42°20'54.86"	43°24'4.22"	20	ND	H	21	474	8
18	ზონა 8	ტყიბული	0,3	42°22'27.53"	43° 2'20.90"	40	ND	H	21	474	8
19	ზონა 7	აბასთუმანი	0,1	41°45'11.43"	42°49'28.04"	30	ND	H	21	474	8
20	ზონა 7	ახალქალაქი	5	41°20'51.01"	43°25'33.52"	60	ND	H	21	474	8
21	ზონა 7	ახალციხე	4,1	41°37'48.46"	42°57'25.44"	60	ND	H	21	474	8
22	ზონა 7	ასპინძა	0,2	41°34'43.95"	43°12'35.47"	30	ND	H	21	474	8
23	ზონა 14	ხულო	0,6	41°38'23.80"	42°20'34.39"	25	ND	H	21	474	8
24	ზონა 7	ნინოწმინდა	0,1	41°17 ′53.29"	43°36 ′28.60"	30	ND	H	21	474	8
25	ზონა 14	შუახევი	0,3	41°38'56.89"	42°11'24.38"	22	ND	H	21	474	8
26	ზონა 7	ბაკურიანი	0,1	41°44'8.97"	43°33'12.01"	25	ND	H	21	474	8
27	ზონა 5	ბეკამი	0,5	42° 0'8.81"	43°33'40.06"	32	ND	H	21	474	8
28	ზონა 7	ბორჯომი	1	41°49'27.20"	43°23'0.33"	20	ND	H	21	474	8
29	ზონა 3	დუშეთი	0,4	42° 0'7.14"	44°39'23.84"	30	ND	H	21	474	8
30	ზონა 5	გორი	4,4	42°'57.12"	44° 2'50.89"	166	ND	H	21	474	8
31	ზონა 4	ყაზბეგი	0,6	42°39'24.38"	44°39'9.73"	20	ND	H	27	522	8
32	ზონა 6	ბოლნისი	1,6	41°28'2.97"	44°32'1.10"	30	ND	H	27	522	8
33	ზონა 6	დმანისი	3,1	41°22'39.69"	44°12'53.95"	60	D	H	27	522	8
34	ზონა 6	წალკა	0,5	41°38'5.61"	44°14'19.51"	50	ND	H	27	522	8
35	ზონა 2	ყვარელი	4,5	41°54'20.06"	45°49'25.65"	25	ND	H	21	474	8
36	ზონა 1	საგარეჯო	0,2	41°41'3.53"	45°16'54.07"	25	ND	H	21	474	8

37	ზონა 1	თბილისი	5	41°41'44.49"	44°47'5.92"	120	ND	H	21	474	8
38	ზონა 3	თიანეთი	0,3	42° 6'7.03"	44°56'54.94"	20	ND	H	21	474	8
39	ზონა 2	ცივი	0,6	41°52'17.01"	45°24'34.26"	12	ND	H	21	474	8
40	ზონა 2	დედოფლის წყარო	4	41°28'1.70"	46° 8'11.02"	90	D	H	22	482	8
41	ზონა 2	ლაგოდეხი	0,3	41°48'42.95"	46°10'17.75"	25	ND	H	22	482	8
42	ზონა 2	სიღნაღი	0,7	41°37'2.46"	45°53'7.51"	25	ND	H	22	482	8
43*	ზონა 15	სოხუმი							28	530	8
44*	ზონა 15	გუდაუთა							28	530	8
45*	ზონა 15	გაგრა							28	530	8
46*	ზონა 15	გალი							28	530	8
47*	ზონა 15	ოჩამჩირე							28	530	8
48*	ზონა 15	ტყვარჩელი							28	530	8
49*	ზონა 5	ცხინვალი							22	482	8
50*	ზონა 5	ჯავა							22	482	8
51	ზონა 1	კოჯორი	3	41⁰40'12"	44⁰41'18"	50	D	H	21	474	8
52	ზონა 6	მარნეული	1	41⁰29'30"	44⁰47'17"	40	ND	H	21	474	8
53	ზონა 8	მარტვილი	1	42⁰27'19"	42⁰21'58"	40	ND	H	21	474	8
54	ზონა 8	ზესტაფონი	1	42⁰3'34"	43⁰3'40"	40	ND	H	21	474	8
55	ზონა 1	მცხეთა	0.08	41°50'30.31"N	44°44'24.60"E	20	ND	H	21	474	8
56	ზონა 4	გუდაური	0.08	42°29'18.00"N	44°30'2.00"E	20	ND	H	27	522	8
57	ზონა 2	პანკისი	0.08	42°8'34.20"N	45°16'23.80"E	25	ND	H	34	578	8
58	ზონა 6	მანგლისი	0.08	41°41'48.00"N	44°24'58.00"E	20	ND	H	21	474	8
59	ზონა 5	კასპი	0.08	41°55'52.00"N	44°29'29.00"E	15	ND	H	21	474	8
60	ზონა 8	ხარაგაული	0.08	42°2'30.00"N	43°12'43.00"E	20	ND	H	23	490	8
61	ზონა 9	პატარა ონი	0.08	42°32'32.51"N	42°59'33.80"E	25	ND	H	29	538	8
62	ზონა 2	არბოშიკი	0,08	41°33'31.52"N	45°57'30.30"E	25	ND	H	21	474	8
63	ზონა 11	ურთა	3.5	42°24'47.71"N	41°49'6.27"E	75	ND	H	27	522	8
64	ზონა 13	ტალახა	2.0	42° 4'2.21"N	42°11'8.41"E	35	ND	H	21	474	8
65	ზონა 9	სადმელი	0.08	42°32'46.27"N	43° 6'26.24"E	25	ND	H	21	474	8
66	ზონა 9	კვაცხუთი	0.13	42°32'25.22"N	43° 9'5.63"E	25	ND	H	21	474	8
67	ზონა 9	მრავალძალი	3.5	42°30'53.32"N	43°20'54.62"E	45	ND	H	21	474	8
68	ზონა 14	ხელვაჩაური	3.5	41°36'54.00"N	41°40'8.00"E	25	D	H	27	522	8
69	ზონა 5	ზვარე	3	41°58'43.00"N	43°26'8.00"E	15	D	H	31	554	8

შენიშვნა 1: *„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე, გეოგრაფიული კოორდინატები და ანტენის პარამეტრები, აგრეთვე ქსელის ფორმირების სალიცენზიო ვალდებულების შესასრულებლად ლიცენზიის მფლობელს დამატებითი ვადა განისაზღვრება კომისიის მიერ, შესაბამისი პირობების დადგომისთანავე;

შენიშვნა 2: ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 100მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ);

შენიშვნა 3: მიმართული გადამცემი ანტენების გასხივების დიაგრამა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მნიშვნელობებს:

ბათუმი: 210 °/2 dB, 220°/2.5 dB, 230°/3 dB, 240°/3 dB, 250°/3 dB, 260°/2.5 dB, 270°/2 dB, 280°/2.7 dB, 290°/3.3 dB, 300°/4.3 dB, 310°/2.9 dB, 320°/1.5 dB.

დმანისი: 140°/1.2 dB, 150°/2.6 dB, 160°/3.2 dB, 170°/4.4 dB, 180°/4.3 dB, 190°/2.9 dB, 200°/1.9 dB, 210°/0.7dB.

დედოფლისწყარო: 20°/0.5 dB, 30°/1.3 dB, 40°/1.3 dB, 50°/2 dB, 60°/3.5 dB, 70°/5.3 dB, 80°/4.7 dB, 90°/2 dB.

კოჯორი: 0°/10dB, 10°/7.8dB, 20°/2.7dB, 30°/1dB, 40°/0dB, 50°/1dB, 60°/2dB, 70°/3dB, 80°/8dB, 90°/10dB, 100°/15dB, 110°/20dB, 120°/22dB, 130°/25dB, 140°/23dB, 150°/22dB, 160°/20dB, 170°/23dB, 180°/26dB, 190°/28dB, 200°/26dB, 210°/25dB, 220°/22dB, 230°/25dB, 240°/26dB, 250°/28dB, 260°/26dB, 270°/23dB, 280°/20dB, 290°/22dB, 300°/23dB, 310°/25dB, 320°/22dB, 330°/20dB, 340°/12dB, 350°/10.3dB".

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:
დ.ა) ლიცენზიის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში კომისიას შესათანხმებლად წარმოუდგინოს წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N1-ით განსაზღვრული ქსელის ფორმირების მიზნით განსახორციელებელი საქმიანობის შევსებული გეგმა; იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ წარმოდგენილი დანართი N1-თ გათვალისწინებული გეგმა, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით მიჩნეული იქნება, რომ არის არაგონივრული და მაღალი ალბათობით გამოიწვევს კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული ვადების დარღვევას, კომისია უფლებამოსილია ამავე გადაწყვეტილებით ცვლილება შეიტანოს წარმოდგენილ გეგმაში,ხოლო ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს იგი;
დ.ბ) უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში, კომისიისთვის მის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ დეტალური ანგარიშების წარმოდგენა; კომისიის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მონიტორინგის განხორციელებასა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;

დ.გ) უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის, ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად გამოყენება;

დ.დ) წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული 42 ძირითადი გადამცემი სადგურის გამოყენებით ერთიდაიგივე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე გადამცემი ქსელისა და სადისტრიბუციო ქსელის, ასევე შესაბამისი სათაო სადგურის (Head-end)/ქსელის მართვის ცენტრის (განთავსების ადგილი ქ.თბილისი) ფორმირება უზრუნველყოს 2015 წლის 17 ივნისამდე, კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ.ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით კომისიასთან შეთანხმებული და ამ გადაწყვეტილების დანართი N1-ით განსაზღვრული საქმიანობის გეგმით გათვალისწინებული ვადების დაცვით;

დ.ე) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივნისის №273 დადგენილებით განსაზღვრული ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ეტაპობრივად გათიშვის გრაფიკის შესაბამისად (შესაბამის ზონებში ანალოგური სიგნალის გათიშვის დღეს) უზრუნველყოს ქსელის ექსპლუატაციაში ეტაპობრივად გაშვება და 2015 წლის 25 აგვისტოდან შესაბამისი მაუწყებლების სატელევიზიო სიგნალის ეროვნულ დონეზე (რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების მოცვის გეოგრაფიული არეალი) გავრცელება;

დ.ვ) წინამდებარე პუნქტის დ.ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით კომისიასთან შეთანხმებული და ამავე გადაწყვეტილების დანართი N1-ით განსაზღვრული საქმიანობის გეგმის მიხედვით 2016 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ჩრდილოვანი ზონების დაფარვა და სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იგივე ტერიტორიაზე გავრცელება, სადაც კონკურსის გამოცხადების პერიოდისათვის ვრცელდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგური სიგნალი;

დ.ზ) ჩრდილოვანი ზონების დასაფარად დამატებითი საიტების დაგეგმარებისას მიმართოს კომისიას, რომელიც განახორციელებს შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსისა და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრას და სალიცენზიო პირობების მოდიფიცირებას;

დ.თ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების დადგომისა და კომისიის მიერ ეფექტურად გასხივებული სიმძლავრის, გეოგრაფიული კოორდინატებისა და შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების დადგენის შემდგომ, კომისიის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ქსელის ფორმირება;

დ.ი) სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად გამოიყენოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი და/ან რადიოსარელეო კავშირი, ხოლო თანამგზავრული კავშირი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სარეზერვო სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად;

დ.კ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის აგება განახორციელოს DVB-T2 (EN 302 755) სტანდარტითა და მონაცემთა შემჭიდროვების H.264 (MPEG 4) ტექნოლოგიით(ISO/IEC 14496);

დ.ლ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელი დაგეგმოს და ააგოს DVB-T2 COFDM პარამეტრებზე დაყრდნობით და უზრუნველყოს ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე არანაკლებ 27.0 მგბ/წმ-სა.

დ.მ) ქსელის ფარგლებში უზრუნველყოს მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 8 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 7 მგბ/წმ) სიჩქარით და სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 2.15 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 1. 7 მგბ/წმ) სიჩქარით (აღნიშნული სიჩქარე განსაზღვრულია, როგორც სტატისტიკური მულტიპლექსირების საშუალო სიჩქარე ერთი კვირის განმავლობაში და მოიცავს ვიდეო, აუდიო და სუბტიტრირების მონაცემების გადაცემას);

დ.ნ) ელექტრონული გზამკვლევის შესაბამისი ინფორმაციისათვის (PSI/SI) გამოყოს მინიმუმ 0.8 მგბტ/წმ გამტარუნარიანობა; ურთიერთგაცვალოს კომისიის მიერ განსაზღვრულ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ოპერატორ(ებ)თან ელექტრონული გზამკვლევის ყველა შესაბამისი ინფორმაცია და მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების შესახებ 7 დღის ინფორმაცია განათავსოს მულტიპლექს პლატფორმაში;

დ.ო) უზრუნველყოს ქსელის ფარგლებში არსებული საიტების ხელმისაწვდომობის ხარისხი (SLA) დანართი N3-ით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად;

დ.პ) დაიცვას „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ოპერირების წესები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტში http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინტერნეტშიhttp://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066);

დ.ჟ) ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე, კომისიას წარუდგინოს და საკუთარ ვებ–გვერდზე გამოაქვეყნოს მოწვევის ოფერტა, სადაც განსაზღვრული იქნება:
დ.ჟ.ა) სატელევიზიო სიგნალის მიწოდების კოორდინატები და სატელევიზიო სიგნალისა და ელექტრონული გზამკვლევისათვის (EPG) სამაუწყებლო ბადის მიწოდების ტექნიკური პარამეტრები;
დ.ჟ.ბ) სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით ან/და კრიპტო-კოდირებული ფორმით მომხმარებლებისათვის უფასოდ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი დღგ-ს გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებულ ტარიფს - კერძოდ 8,900 ლარს დღგ-ს გარეშე; ტარიფი უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის მულტიპლექსირება/გავრცელების) ყველა ხარჯს ერთი კალენდარული თვის პერიოდში დღგ-ს გარეშე, რომელიც არ უნდა ითვალისწინებდეს მაუწყებლის სტუდიიდან ქსელში დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდებისა და პირობითი დაშვების სისტემით მომსახურების ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ.რ) უზრუნველყოს მაუწყებლების ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში სავალდებულო დაშვებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონისმიერი ვალდებულებების შესრულება;

დ.ს) უზრუნველყოს შესაბამისი მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება, გავრცელება და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება;

დ.ტ) შექმნას სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია დაფარვის ზონების შესახებ საფოსტო მისამართების მიხედვით და უზრუნველყოს მომხმარებელთა „ონლაინ“ და ცხელი ხაზით მომსახურება;

დ.უ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის შესაბამისი „სეთ-თოფ-ბოქსების“ იმპორტის და/ან მომხმარებლისათვის მიწოდების შემთხვევაში უზრუნველყოს სერტიფიცირებული მოწყობილობების შემოტანა (მომხმარებლებისათვის მიწოდება), რომელიც შესაბამისობაში იქნება „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ დოკუმენტთან „სეთ-თოფ-ბოქსების“ სპეციფიკაციების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტერნეტში http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi, ასევე კომისიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე ინტერნეტში http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066);

დ.ფ) პირობითი დაშვების სისტემის დანერგვის შემთხვევაში სხვა შესაბამისი ლიცენზიის მფლობელებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეარჩიოს საქართველოში ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ფარგლებში გამოსაყენებელი პირობითი დაშვების სისტემა (სისტემები) და პირობითი დაშვების სისტემის ბარათების ერთი სახეობა, რომელიც იქნება ერთიანი/უნივერსალური ყველა მიმღებისათვის; რამოდენიმე პირობითი დაშვების სისტემის ერთობლივი მუშაობის ხელშეწყობისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სიმულკრიპტი; დანერგილ პირობითი დაშვების სისტემას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს „ჩიპთა“ ერთობლიობის დაწყვილება (chipset pairing);

დ.ქ) უზრუნველყოს კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნებისა და №MUX B ლიცენზიისთვის განსაზღვრული სხვა სალიცენზიო პირობების (ვალდებულებების) შესრულება;

ე) ღია საეთერო ქსელში მაუწყებელთა დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, გამოიყენოს ქსელის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი ან უფასო კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მისაწოდებლად; მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა, ლიცენზიის მფლობელი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, უპირობოდ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება;

ვ) ელექტრომაგნიტური თავსებადობის პირობების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მოქმედების ვადის პერიოდში განახორციელოს ლიცენზით მინიჭებული რადიოსიხშირეების (სატელევიზიო არხების) ტექნიკური პარამეტრების კორექტირება, მათ შორის, შესაბამის გეოგრაფიულ არეალში რადიოსიხშირის შეცვლა, ხოლო ლიცენზის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს კორექტირებულ პარამეტრებთან ქსელის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანა.

II. სამოტივაციო ნაწილი

3. კომისია აღნიშნავს, რომ ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის

ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართოს კომისიას განცხადებით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს, კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლით.

4. შპს „სტერეო+"-ის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიას მოქმედების ვადა გასდის 2025 წლის 17 ივნისს. შესაბამისად, კომპანიის მიერ დაცულია "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების კომისიაში წარმოდგენასთან დაკავშირებით.

5. კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონკურსის წესით გაცემული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ლიცენზიის მფლობელი იხდის სათანადო საფასურს, რომლის ოდენობას ადგენს კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, აგრეთვე სალიცენზიო მოსაკრებელს.

6. კომისია აღნიშნავს, რომ "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო მოსაკრებელი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისათვის შეადგენს - 1,000.00 (ერთი ათას) ლარს. შპს „სტერეო+"-ის მიერ 2025 წლის 9 ივნისს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულია სალიცენზიო მოსაკრებელი (1,000.00 ლარი) და გადახდის დამადასტურებელი საბუთი წარმოდგენილია კომისიაში (კომისიაში რეგისტრაციის №შ-25-6/2400, 10.06.2025)

7. კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N25-10-1246, 11.06.2025) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გაანგარიშების თაობაზე. სამსახურებრივი ბარათში აღნიშნულია რომ კომისიის დაკვეთით, 2014 წლის თებერვალში ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით კომპანიამ J.Kanervisto Consulting შეიმუშავა საკონსულტაციო დოკუმენტი სიხშირული ლიცენზიის ტარიფთან დაკავშირებით. რეკომენდაციის თანახმად სიხშირული რესურსის კონკურსის საწყისი საფასური უნდა განსაზღვრულიყო 0(ნული) ლარით. რეკომენდაცია დაეყრდნო ევროკავშირში მაუწყებლობისთვის გაცემული ანალოგიური დანიშნულების სიხშირული რესურსის გაცემის პრაქტიკასა და ექსპერტულ შეფასებას. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით განისაზღვრა სიხშირული რესურსის საფასური: „ზემოაღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეკომენდაციის საფუძველზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირებისათვის საკონკურსოდ გამოტანილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყის საფასურად განისაზღვროს ნულთან მიახლოებული, მაგრამ არაუმეტეს „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონი მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა - 1000 ლარი".

სიხშირული რესურსის საფასურის დათვლისას გათვალისწინებული იქნა ქვეყნისთვის ციფრული მაუწყებლობის არსებობის და მაუწყებლობის მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობისთვის უფასოდ ხელმისაწვდომობის საჭიროება და ამ მიზნით შესაბამისი ქსელის ასაგებად საჭირო ინვესტიციების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ კვლევითი კომპანია GORBI-ის მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მომხმარებლების რაოდენობა, რომლებიც სატელევიზიო სიგნალს რადიო სიხშირის გამოყენებით იღებდნენ (Terrestrial) 29%-ს შეადგენდა (ხოლო თბილისისა და 6 დიდი ქალაქის გარდა რეგიონებში - 43%-ს) - რაც აღნიშნული სერვისის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად სიხშირული რესურსის არსებობისა, კომისიაში ამ დრომდე არ

დაფიქსირებულა ქვეყნის მასშტაბით ციფრული მიწისზედა ქსელის განვითარების მსურველი სხვა პრეტენდენტის მომართვა, რომელიც განავითარებდა ქვეყანაში ალტერნატიულ ქსელს. ამ მოცემულობაში, მიგვაჩნია, რომ კვლავ უცვლელია ის შიდა ეროვნული ფაქტორები, რომელიც საფუძვლად დაედო საერთაშორისო კომპანია J.Kanervisto Consulting-ის დასკვნას და შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ ლიცენზიის საფასური უცვლელი უნდა დარჩეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ №MUX B ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასური განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

8. კომისია აღნიშნავს, რომ 2025 წლის 12 ივნისს გამართულ კომისიის სხდომას ესწრებოდა შპს „სტერეო+“-ს წარმომადგენელი გიორგი ხითარიშვილი. მან დაადასტურა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 1000.00 (ათასი) ლარის 2025 წლის 12 ივლისამდე საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდაზე მზადყოფნა.

III. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ”სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე–14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, შპს „სტერეო+“ის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიას 10 წლის ვადით 2025 წლის 17 ივნისიდან 2035 წლის 17 ივნისამდე, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2025 წლის 17 ივნისიდან - 2035 წლის 17 ივნისამდე;
ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო
გ) ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, შესაბამისი სიხშირული რესურსი და ტექნიკური პარამეტრები:

№	ადგილობრივი მაუწყებლობის ზონა	ძირითადი გადამცემის განთავსების პუნქტი	ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე ERP [kW]	გეოგრაფიული კოორდინატები		ანტენის პარამეტრები			ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის მომენტიდან ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი		
				ჩრდილოეთ განედი (N)	აღმოსავლეთ გრძედი (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	გასხივების მიმართულება (მიმართულია/არამიმართული) (D/ND)	პოლარიზაცია H/V	სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	ზონა 11	ჯვარი	0,3	42°43'30.75"	42° 3'24.10"	25	ND	H	30	546	8
2	ზონა 11	წალენჯიხა	0,8	42°36'59.89"	42° 3'45.01"	20	ND	H	30	546	8

3	ზონა 11	ზუგდიდი	2,3	42°30'7.89"	41°53'8.84"	60	ND	H	30	546	8
4	ზონა 14	ბათუმი	5	41°41'37.58"	41°42'54.98"	46	D	H	27	522	8
5	ზონა 13	ოზურგეთი	0,3	41°54'48.87"	41°59'34.00"	25	ND	H	27	522	8
6	ზონა 11	ფოთი	2,6	42°11'15.73"	41°42'3.62"	120	ND	H	27	522	8
7	ზონა 14	ქედა	0,5	41°37'5.98"	41°55'59.05"	25	ND	H	27	522	8
8	ზონა 9	ამბროლაური	0,3	42°30'49.70"	43° 9'52.28"	20	ND	H	21	474	8
9	ზონა 10	ცაგერი	0,5	42°38'57.71"	42°45'25.56"	30	ND	H	21	474	8
10	ზონა 8	ჭიათურა	0,6	42°17'15.57"	43°15'40.46"	70	ND	H	21	474	8
11	ზონა 11	ჩხოროწყუ	0,3	42°31'46.63"	42° 6'11.88"	35	ND	H	21	474	8
12	ზონა 13	ჩოხატაური	0,3	41°59'38.25"	42°13'49.53"	30	ND	H	21	474	8
13	ზონა 8	ქუთაისი	5	42°16'48.21"	42°44'11.73"	100	ND	H	21	474	8
14	ზონა 10	ლენტეხი	0,8	42°46'28.45"	42°45'40.57"	12	ND	H	21	474	8
15	ზონა 12	მესტია	0,4	43°1 ´21.84"	42°45 ´21.40"	18	ND	H	21	474	8
16	ზონა 9	ონი	0,3	42°34'38.22"	43°26'27.31"	25	ND	H	21	474	8
17	ზონა 8	საჩხერე	0,6	42°20'54.86"	43°24'4.22"	20	ND	H	21	474	8
18	ზონა 8	ტყიბული	0,3	42°22'27.53"	43° 2'20.90"	40	ND	H	21	474	8
19	ზონა 7	აბასთუმანი	0,1	41°45'11.43"	42°49'28.04"	30	ND	H	21	474	8
20	ზონა 7	ახალქალაქი	5	41°20'51.01"	43°25'33.52"	60	ND	H	21	474	8
21	ზონა 7	ახალციხე	4,1	41°37'48.46"	42°57'25.44"	60	ND	H	21	474	8
22	ზონა 7	ასპინძა	0,2	41°34'43.95"	43°12'35.47"	30	ND	H	21	474	8
23	ზონა 14	ხულო	0,6	41°38'23.80"	42°20'34.39"	25	ND	H	21	474	8
24	ზონა 7	ნინოწმინდა	0,1	41°17 ´53.29"	43°36 ´28.60"	30	ND	H	21	474	8
25	ზონა 14	შუახევი	0,3	41°38'56.89"	42°11'24.38"	22	ND	H	21	474	8
26	ზონა 7	ბაკურიანი	0,1	41°44'8.97"	43°33'12.01"	25	ND	H	21	474	8
27	ზონა 5	ბეკამი	0,5	42° 0'8.81"	43°33'40.06"	32	ND	H	21	474	8
28	ზონა 7	ბორჯომი	1	41°49'27.20"	43°23'0.33"	20	ND	H	21	474	8
29	ზონა 3	დუშეთი	0,4	42° 0'7.14"	44°39'23.84"	30	ND	H	21	474	8
30	ზონა 5	გორი	4,4	42°'57.12"	44° 2'50.89"	166	ND	H	21	474	8
31	ზონა 4	ყაზბეგი	0,6	42°39'24.38"	44°39'9.73"	20	ND	H	27	522	8
32	ზონა 6	ბოლნისი	1,6	41°28'2.97"	44°32'1.10"	30	ND	H	27	522	8
33	ზონა 6	დმანისი	3,1	41°22'39.69"	44°12'53.95"	60	D	H	27	522	8
34	ზონა 6	წალკა	0,5	41°38'5.61"	44°14'19.51"	50	ND	H	27	522	8
35	ზონა 2	ყვარელი	4,5	41°54'20.06"	45°49'25.65"	25	ND	H	21	474	8
36	ზონა 1	საგარეჯო	0,2	41°41'3.53"	45°16'54.07"	25	ND	H	21	474	8
37	ზონა 1	თბილისი	5	41°41'44.49"	44°47'5.92"	120	ND	H	21	474	8
38	ზონა 3	თიანეთი	0,3	42° 6'7.03"	44°56'54.94"	20	ND	H	21	474	8
39	ზონა 2	ცივი	0,6	41°52'17.01"	45°24'34.26"	12	ND	H	21	474	8
40	ზონა 2	დედოფლის წყარო	4	41°28'1.70"	46° 8'11.02"	90	D	H	22	482	8
41	ზონა 2	ლაგოდეხი	0,3	41°48'42.95"	46°10'17.75"	25	ND	H	22	482	8
42	ზონა 2	სიღნაღი	0,7	41°37'2.46"	45°53'7.51"	25	ND	H	22	482	8
43*	ზონა 15	სოხუმი							28	530	8
44*	ზონა 15	გუდაუთა							28	530	8
45*	ზონა 15	გაგრა							28	530	8
46*	ზონა 15	გალი							28	530	8

47*	ზონა 15	ოჩამჩირე							28	530	8
48*	ზონა 15	ტყვარჩელი							28	530	8
49*	ზონა 5	ცხინვალი							22	482	8
50*	ზონა 5	ჯავა							22	482	8
51	ზონა 1	კოჯორი	3	41⁰40'12"	44⁰41'18"	50	D	H	21	474	8
52	ზონა 6	მარნეული	1	41⁰29'30"	44⁰47'17"	40	ND	H	21	474	8
53	ზონა 8	მარტვილი	1	42⁰27'19"	42⁰21'58"	40	ND	H	21	474	8
54	ზონა 8	ზესტაფონი	1	42⁰3'34"	43⁰3'40"	40	ND	H	21	474	8
55	ზონა 1	მცხეთა	0.08	41°50'30.31"N	44°44'24.60"E	20	ND	H	21	474	8
56	ზონა 4	გუდაური	0.08	42°29'18.00"N	44°30'2.00"E	20	ND	H	27	522	8
57	ზონა 2	პანკისი	0.08	42°8'34.20"N	45°16'23.80"E	25	ND	H	34	578	8
58	ზონა 6	მანგლისი	0.08	41°41'48.00"N	44°24'58.00"E	20	ND	H	21	474	8
59	ზონა 5	კასპი	0.08	41°55'52.00"N	44°29'29.00"E	15	ND	H	21	474	8
60	ზონა 8	ხარაგაული	0.08	42°2'30.00"N	43°12'43.00"E	20	ND	H	23	490	8
61	ზონა 9	პატარა ონი	0.08	42°32'32.51"N	42°59'33.80"E	25	ND	H	29	538	8
62	ზონა 2	არბოშიკი	0,08	41°33'31.52"N	45°57'30.30"E	25	ND	H	21	474	8
63	ზონა 11	ურთა	3.5	42°24'47.71"N	41°49'6.27"E	75	ND	H	27	522	8
64	ზონა 13	ტალახა	2.0	42° 4'2.21"N	42°11'8.41"E	35	ND	H	21	474	8
65	ზონა 9	სადმელი	0.08	42°32'46.27"N	43° 6'26.24"E	25	ND	H	21	474	8
66	ზონა 9	კვაცხუთი	0.13	42°32'25.22"N	43° 9'5.63"E	25	ND	H	21	474	8
67	ზონა 9	მრავალძალი	3.5	42°30'53.32"N	43°20'54.62"E	45	ND	H	21	474	8
68	ზონა 14	ხელვაჩაური	3.5	41°36'54.00"N	41°40'8.00"E	25	D	H	27	522	8
69	ზონა 5	ზვარე	3	41°58'43.00"N	43°26'8.00"E	15	D	H	31	554	8

შენიშვნა 1: *„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე, გეოგრაფიული კოორდინატები და ანტენის პარამეტრები, აგრეთვე ქსელის ფორმირების სალიცენზიო ვალდებულების შესასრულებლად ლიცენზიის მფლობელს დამატებითი ვადა განისაზღვრება კომისიის მიერ, შესაბამისი პირობების დადგომისთანავე;

შენიშვნა 2: ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 100მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ);

შენიშვნა 3: მიმართული გადამცემი ანტენების გასხივების დიაგრამა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მნიშვნელობებს:

ბათუმი: 210 °/2 dB, 220°/2.5 dB, 230°/3 dB, 240°/3 dB, 250°/3 dB, 260°/2.5 dB, 270°/2 dB, 280°/2.7 dB, 290°/3.3 dB, 300°/4.3 dB, 310°/2.9 dB, 320°/1.5 dB.

დმანისი: 140°/1.2 dB, 150°/2.6 dB, 160°/3.2 dB, 170°/4.4 dB, 180°/4.3 dB, 190°/2.9 dB, 200°/1.9 dB, 210°/0.7dB.

დედოფლისწყარო: 20°/0.5 dB, 30°/1.3 dB, 40°/1.3 dB, 50°/2 dB, 60°/3.5 dB, 70°/5.3 dB, 80°/4.7 dB, 90°/2 dB.

კოჯორი: 0°/10dB, 10°/7.8dB, 20°/2.7dB, 30°/1dB, 40°/0dB, 50°/1dB, 60°/2dB, 70°/3dB, 80°/8dB, 90°/10dB, 100°/15dB, 110°/20dB, 120°/22dB, 130°/25dB, 140°/23dB, 150°/22dB, 160°/20dB, 170°/23dB, 180°/26dB, 190°/28dB, 200°/26dB, 210°/25dB, 220°/22dB, 230°/25dB, 240°/26dB, 250°/28dB, 260°/26dB, 270°/23dB, 280°/20dB, 290°/22dB, 300°/23dB, 310°/25dB, 320°/22dB, 330°/20dB, 340°/12dB, 350°/10.3dB“.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსის ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად გამოყენება;

ბ) უზრუნველყოს მაუწყებლების სატელევიზიო სიგნალის ეროვნულ დონეზე (წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ძირითადი გადამცემი სადგურების მოცვის გეოგრაფიული არეალი) გავრცელება;

გ) უზრუნველყოს სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იგივე ტერიტორიაზე გავრცელება, სადაც კონკურსის გამოცხადების პერიოდისათვის (2014 წლის 31 მარტის მდგომარეობით) ვრცელდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგური სიგნალი;

დ) ჩრდილოვანი ზონების დასაფარად დამატებითი საიტების დაგეგმარებისას მიმართოს კომისიას, რომელიც განახორციელებს შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსისა და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრას და სალიცენზიო პირობების მოდიფიცირებას;

ე) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების დადგომისა და კომისიის მიერ ეფექტურად გასხივებული სიმძლავრის, გეოგრაფიული კოორდინატებისა და შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების დადგენის შემდგომ, კომისიის მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ქსელის ფორმირება;

ვ) სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად გამოიყენოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი და/ან რადიოსარელეო კავშირი, ხოლო თანამგზავრული კავშირი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სარეზერვო სადისტრიბუციო ქსელის ასაგებად;

ზ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის აგება/ექსპლუატაცია განახორციელოს DVB-T2 (EN 302 755) სტანდარტითა და მონაცემთა შემჭიდროვების H.264 (MPEG 4) ტექნოლოგიით(ISO/IEC 14496);

თ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის ექსპლუატაცია განახორციელოს DVB-T2 COFDM პარამეტრებზე დაყრდნობით და უზრუნველყოს ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე არანაკლებ 27.0 მგბ/წმ-სა.

ი) ქსელის ფარგლებში უზრუნველყოს მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 8 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 7 მგბ/წმ) სიჩქარით და სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება 2.15 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების - მინიმუმ 1. 7 მგბ/წმ) სიჩქარით (აღნიშნული სიჩქარე განსაზღვრულია, როგორც სტატისტიკური მულტიპლექსირების საშუალო სიჩქარე ერთი კვირის განმავლობაში და მოიცავს ვიდეო, აუდიო და სუბტიტრირების მონაცემების გადაცემას);

კ) ელექტრონული გზამკვლევის შესაბამისი ინფორმაციისათვის (PSI/SI) გამოყოს მინიმუმ 0.8 მგბტ/წმ გამტარუნარიანობა; ურთიერთგაცვალოს კომისიის მიერ განსაზღვრულ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ოპერატორ(ებ)თან ელექტრონული გზამკვლევის ყველა შესაბამისი ინფორმაცია და მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების შესახებ 7 დღის ინფორმაცია განათავსოს მულტიპლექს პლატფორმაში;

ლ) უზრუნველყოს ქსელის ფარგლებში არსებული საიტების ხელმისაწვდომობის ხარისხი (SLA) დანართი N1-ით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად;

მ) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა მათ შორის „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ოპერირების წესები; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს საქმიანობის მათთან შესაბამისობა;

ნ) კომისიას წარუდგინოს და საკუთარ ვებ–გვერდზე გამოაქვეყნოს მოწვევის ოფერტა, სადაც განსაზღვრული იქნება:
ნ.ა) სატელევიზიო სიგნალის მიწოდების კოორდინატები და სატელევიზიო სიგნალისა და ელექტრონული გზამკვლევისათვის (EPG) სამაუწყებლო ბადის მიწოდების ტექნიკური პარამეტრები;
ნ.ბ) სატელევიზიო კონტენტის ეროვნულ დონეზე ღია ეთერით ან/და კრიპტო-კოდირებული ფორმით მომხმარებლებისათვის უფასოდ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), 1 მგბ/წმ-ით გავრცელების

ყოველთვიური ტარიფი დღგ-ს გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებულ ტარიფს - კერძოდ 8,900 ლარს დღგ-ს გარეშე; ტარიფი უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის მულტიპლექსირება/გავრცელების) ყველა ხარჯს ერთი კალენდარული თვის პერიოდში დღგ-ს გარეშე, რომელიც არ უნდა ითვალისწინებდეს მაუწყებლის სტუდიიდან ქსელში დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდებისა და პირობითი დაშვების სისტემით მომსახურების ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ო) უზრუნველყოს შესაბამისი მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო წინადადებით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება, გავრცელება და ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურების სახეების შეთავაზება;

პ) იქონიოს სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია დაფარვის ზონების შესახებ საფოსტო მისამართების მიხედვით და უზრუნველყოს მომხმარებელთა „ონლაინ“ და ცხელი ხაზით მომსახურება;

ჟ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის შესაბამისი „სეთ-თოფ-ბოქსების“ იმპორტის და/ან მომხმარებლისათვის მიწოდების შემთხვევაში უზრუნველყოს სერტიფიცირებული მოწყობილობების შემოტანა (მომხმარებლებისათვის მიწოდება), რომელიც შესაბამისობაში იქნება „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით მოწონებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ დოკუმენტთან „სეთ-თოფ-ბოქსების“ სპეციფიკაციების შესახებ;

რ) პირობითი დაშვების სისტემის დანერგვის შემთხვევაში სხვა შესაბამისი ლიცენზიის მფლობელებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეარჩიოს საქართველოში ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის ფარგლებში გამოსაყენებელი პირობითი დაშვების სისტემა (სისტემები) და პირობითი დაშვების სისტემის ბარათების ერთი სახეობა, რომელიც იქნება ერთიანი/უნივერსალური ყველა მიმღებისათვის; რამოდენიმე პირობითი დაშვების სისტემის ერთობლივი მუშაობის ხელშეწყობისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სიმულკრიპტი; დანერგილ პირობითი დაშვების სისტემას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს „ჩიპთა“ ერთობლიობის დაწყვილება (chipset pairing);

ს) უზრუნველყოს კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნებისა და №MUX B ლიცენზიისთვის განსაზღვრული სხვა სალიცენზიო პირობების (ვალდებულებების) შესრულება;

ტ) ღია საეთერო ქსელში მაუწყებელთა დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, გამოიყენოს ქსელის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი ან უფასო კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მისაწოდებლად; მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა, ლიცენზიის მფლობელი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია, უპირობოდ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება;

უ) უზრუნველყოს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX D ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი 10 წლის განმავლობაში დაგეგმილი და აგებული ციფრული ქსელის შენარჩუნება და ექსპლუატაცია ზემოაღნიშნული ლიცენზიის მოქმედების ვადის პერიოდში.

3. ელექტრომაგნიტური თავსებადობის პირობების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მოქმედების ვადის პერიოდში

განახორციელოს ლიცენზიით მინიჭებული რადიოსიხშირეების (სატელევიზიო არხების) ტექნიკური პარამეტრების კორექტირება, მათ შორის, შესაბამის გეოგრაფიულ არეალში რადიოსიხშირის შეცვლა, ხოლო ლიცენზის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს კორექტირებულ პარამეტრებთან ქსელის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანა;

4. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს -1000.00 (ათასი) ლარით.

5. უზრუნველყოს შპს „სტერეო+"-მა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 1000.00 (ათასი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა 2025 წლის 12 ივლისადე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

-მიმღები- ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

-ბანკი-სახელმწიფო ხაზინა

-ბანკის კოდი-TRESGE22

-საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი-N300773402

6. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტში აღნიშნული თანხის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიას წარმოუდგინოს გადახდიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

7. ლიცენზიის მფლობელის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს;

8. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (ნ. ლორთქიფანიძე).

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა;

ბ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;

გ) ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის უზრუნველყოფა;

9. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი):

ა) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „სტერეო+"-სთვის გაგზავნა;

ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

10. წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი N1 ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

11. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებისთანავე;

12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) შპს „სტერეო+“-სთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

13. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის,მე-2 პუნქტის და მე-3 პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე);

14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 და მე-6 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფს (ნ. დევდარიანი);

15. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების (პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტ, მე-2, მე-3 მე-5, მე-6 პუნქტების გარდა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი